№ 20
1916 3




№ 38 1916 ფასი 12 კაპ.
კვირა, ენკენის. 18

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“
წლიურად 5 მ., ნახევარი წლით 3 მ. გაწერა შეიძლება ფოსტით: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“ Іос. Имедашвили. პირისპირ: „სორაპნი“ს- სტამბაში.

წელ. მეოთხ გამოცემისა



ვალერიან გუნია
მისი ავადმყოფობის გამო
(იხ. ამავე ნომერში 8 გვ.)

# სოფელში

მიყვარს სოფელი

ან კი შეიძლება, არ გიყვარდეს ის ადგილი, სადაც დაბადებულხარ და წამოჩიტულხარ, სადაც პირველად გაგღებია გონების კარი, სადაც პირველად გიხილავს ბუნება და გიგრძვნია მშობლის ალერსი, განგიცდია მშობლის სიყვარული!

მიყვარს სოფელი, უსაზღვროდ მიყვარს მაგრამ მარტო ამისათვის კი არა.

ქალაქში ყველა სადღაც მიისწრაფვის, ყველა ჩქარობს, ყველა საათს დაჩერებია, თითქოს ცაზედ მზე აღარ ენთოს.

ქალაქი ბუნებას მოწყვეტილია, ქალაქში მზე დავიწყებულია. ქალაქი დასნეულებულია ნერვებ აშლილებით. აქ ახალგაზრდები უკვე მოხუცები არიან. აქ სიცილი სიცილს არა ჰგავს, მხიარულება მხიარულებას, მოსვენება—მოსვენებას და სადილი სადილს.

სოფელში ყველა საქმეს აკეთებს დინჯად, იმედიანად, უზრუნველად, აუჩქარებლად. აქ საათს არავინ არ დაჩერებია. ყველა ცას უყურებს და ცაზე კითხულობს დროსაც და ამინდსაც.

სოფელი ბუნებასთან არის შეკავშირებული. აქ ყველა მზესთან ერთად წამოდგება ლოგინიდან, მზესთან ერთად წვება.

მზე რომ ღამის მყუდროებას გააპობს თვისის სხივებით და ცის ტატნობს აანთებს და ააფერადებს, გამოაღვიძებს, გაამხიარულებს, აამღერებს მთელ ბუნებას და შემდეგ თვითონ ამოგორდება ბრწყინვალე და მხიარული, განა უკეთესი სანახაობა კიდევ იქნება!

ქალაქში სტკბება განა ამ სანახაობით?

არავინ.

სოფელში-კი ყველა.

სოფელმა არ იცის, რა არის ნერვების აშლილობა, აქ მოხუცებულნი ახალგაზრდები არიან.

— დავბერდი, ორმოც და ათ წელს გადმოვაბიჯე და აღარ ვერგივარო, გაიგონებთ ქალაქში.

— რა დროს სიბერეა, ჯერ მარტო ოთხმოცის წლისა ვარო, გაიგონებთ სოფელში.

აქ საქმის დროს ყველა საქმობს, უქმე დღეს ყველა მხიარულობს, ყველა იცინის, იმღერის, ქეიფობს.

ნამდვილი მუშაობა, ნამდვილი დასვენება, მხიარულება და ჭამა სოფელში იციან.

ამიტომ მიყვარს მე სოფელი.

და როდესაც ქალაქისაგან მოქანცული, მოშლილი, უძილო, უმადო და უმხიარულო სოფელს მივაშურებ აქ მე ვპოვებ ყველი, ვეს, რაც ქალაქმა წამართვა.

ამ იმედით, ამ რწმენით მივედიოდი წელსაც სოფელში, მაგრამ სოფელი ისე აღარ დამიხვდა, როგორიც დავტოვე.

ყველა მოწყენილი, ყველა დაღონებული, ყველა ჩაფიქრებული, ყველა აცრემლებული.

იმედიანი თვალები, მხიარული სახე, მტკიცე ნაბიჯი—აღარ არის სოფელში.

ამინდი და უამინდობა, მზის ამოსვლა და ჩასვლა აღარავის აინტერესებს სოფელში. ყველა დაღვრემილი ჩაჩერებია მიწას და აღარაფერი ეხალისება. სიმღერას ველარ გაიგონებთ სოფელში, ჩვეულებრივ მხიარულს, უდარდელს, მოხდენილსა და შეწყობილ სიმღერას, როცა მომღერალს ხვეწნა არა სჭირდებოდა და სიმღერა თავისთავად, ბუნებივად ჩქეფდებოდა.

მაშინ სიმღერა, მხიარულება სოფლის მოთხოვნილება იყო.

დღეს თუ აქა იქ მღერიან, უგულოთ, ნაძალადევათ უხალისოთ, ისიც ხვეწნის შემდეგ.

— ვაი იმას, ვინც მოკვდა, თორემ ცოცხალს რა უჭირსო, იტყოდენ წინეთ სოფელში.

— ნეტავი იმას, ვინც მოკვდა და მოშორდა ამ წუთისოფელსო! — ამბობენ დღეს სოფელში

სნეულებით სოფელი ქალაქს დაემგზავსა: გამრავლდენ შეშლილები და ნერვებ აშლილები.

ზოგს ქრისტე ეზმანება, ზოგს სული წმინდა, ზოგს ღვთისმშობელი.

არ გეგონოთ, რომ ნერვებ აშლილები მარტო ახალგაზრდობაში იყოს, —მოხუცებშიაც ძალიან ბევრია და მერე ისეთ მოხუცებში, რომლებიც დარწმუნებული იყვნენ თუ დავეტაკეთ, კლდეს გავანგრევთო.

სოფელი რაც იყო, ის აღარ არის, გამოიცვალა სოფელი.

რამ გამოსცვალა?

სიმშილმა?

სოფელში მართლაც სიმშილობაა.

გასულ წელს მოსავალი ნაკლები იყო, წელსაც ბევრგან, ზემო იმერეთში ოთხი-ხუთი თვის სარჩო არ მოვა, მაგრამ სოფელში ფული ტრიალებს, მეტია საშოვარი.

— მიკვირს ბატონო, მეუბნებოდა ასი წლის მოხუცი,—ჩემს ახალგაზრდობაში იყო დიდი შიმშილობა, ფუთი სიმიდი მანეთათ ფასობდა, მაგრამ ე მანეთი არსად არ იყო. ახლა ფუთი სიმიდი ოთხ მანეთათ ფასობს და ხალხი კი ყიდულობსო.

ფულიც რომ არ იყოს სოფლის გულს სიმშილი ვერ გასტეხს! განა სოფელმა არა სთქვა: მუცელს აღორებ ღორია, აქორებ — ქორიაო.

— წელიწადი ურმის თვალივით ტრიალებს, მოვითმენ, თავს გავიტან როგორმე და მალე ახალი მოსავალი მომესწრებაო, იტყვიან ამისთანა დროს სოფელში.

სოფელი დაცალიერდა, ახალგაზრდობა გავიდა და იარაღით ხელში შორს სადღაც ვიღაცას ეომება, სისხლს ღვრის.

ბევრი იხოცება, ბევრი უგზო უკვლოთ იკარგება, ილუპება.

იქნება ამან გამოსცვალა სოფელი?

— სიკვდილი წერაა, ბატონო, მეუბნებოდა ერთი მოხუცი გლეხი, რომელსაც გერმანიის ფრონტზე ორი ვაჟიშვილი მოუკლეს ამ ერთ წელიწადში, - თუ ეს ეწერათ სახლშიაც დამეხოცებოდნენო.

— მაშ რასა სჩივი? ვეკითხები.

— იმას, შენი ჭირიმე, რომ ამდენი ხალხი იხოცება და ამ ჩვენ ქვეყანას რაი მერგე?

— შენ მართალი ხარ, ჩემო ბერო (სახელია მოხუცის)! ამდენი ქართველი ახალგაზრდობაც ეწირება მსხვერპლათ დიდი რუსეთის სახელსა და დიდებას და ამ ჩვენს პატარა ქვეყანას რაი მერგე?

აი რამ გამოსცვალა, აი რამ დააღონა სოფელი.

ქართველ კაცს სიკვდილისა არ ეშინია. სახლში სიკვდილს ომში სიკვდილი სჯობია,— სახელი მაინც დარჩებაო, ამბობენ სოფელში.

ხალხს დაჰკარგა რწმენა და ამან გაუტეხა გული.

სოფელი ვნახე უძალლო, შიგ გავიარე უჯოხოვო, ნათქვამია. დღევანდელმა მდგომარეობამ ბევრს მისცა საშუალება სოფელში უჯოხოთ სიარულისა. დათარეშობენ სოფელში და შევიწროებულ ხალხს მოტყუებით უკანასკნელ ლუკმას აცლიან პირიდან.

განსაკუთრებით ისახელეს თავი ზოგიერთმა ექიმმა და კერძო ვექილმა.

განსაკუთრებით უსახელებია თავი ქუთაისის ერთ კერძო ვექილს, რომელსაც აგენტები გაუჩენია და ხალხს ტყავს აძრობს: გუბერნატორი ჩემთან ჭამს ყოველ დღე სადილს და ჯარისკაცობიდან დაგიხსნიო.

მოხუცი ბერო მაჭარაშვილი და გარსია ლამბაშიძე საჩხერის მხრიდან გაჰყოლიან თვის შვილებს ქუთაისში, მიუყიდ-მოუყიდიათ, რაც კი ებადათ, მოუგროვებიათ თითოს ორმოც თუმნამდე და უფიქრიათ, იქნება ვიპატიოთ ჩვენი შვილებიო.

ქუთაისში გაბმულან ამ კერძო ვექილის მახეში, წაუგლეჯია ორივესათვის სამოცი თუმანი ისე, რომ სამართლის წინაშე ვერაფერს ვერ დაუმტკიცებთ და, რამოდენიმე დღის შემდეგ კი, როდესაც მოტყუებული გლეხები მისულან და უთხოვიათ: ბატონო, ჩვენი შვილები ვერ დაიხსენი და ფულის ნაწილი მაინც დაგვიბრუნეო, სახლიდან გამოუგდია ორივე.

დღეს ბერო მაჭარაშვილი ავად არის ნერვების აშლილობით.

— იმას კი აღარა ვწუხვარ, რომ შვილები წამივიდნენ,—რაც ყველას თავზეა, იმას მეც გავუძლებ,—ნასწავლმა კაცმა როგორ იკადრა ამისთანა საქმეო, შემოჩიოდა.

— მე დალოცვილო, მე ჩემი გაჭირვება მადგა, ჩვენებურმა ტალახაძემ მიმასწავლა. მაგისთან ნასწავლი ქუთაისის გუბერნიაში არ არიო, და თუ აღარც სირცხვილ-ნამუსია და აღარც ნდობა, რა ვიცოდიო.

ქუთაისის კერძო ვექილებო! ვისაც თავზე ქუდი არ გეწვისთ, დალდებული ხართ, შეერდეთ და განაძევოთ ის ამხანაგები, რომლებიც თქვენ გარცხვენენ და ჩირქსა გცხებენ.

ივ. გომართელი

# განცდა

ცის სივრცეში ციაგაც შლილს ცისკრის ყვავილს მივეპარე
მგზნებარ გულით აღდართულით აღტაცებით ვუძღვენ კოცნა;
აცახცახდა, აკანკალდა, ათრთოლდა და მორთო არე,
ვით მზე-მთვარე, მოელვარე სხივთ ისრები შემომტყორცნა.
დამწვა, დამწვა, დამიმონა!.. დამავიწყდა წუთით სევდა:
ჩემი ქნარი ხმა ნარნარი სულ სხვა ჰანგზე აწკრიალდა.
და გულს დაჭრილს და გულს, დასჯილს, ბედი შხამსა რომ ანთხევდა,—
ეწვია მზე, ცეცხლის ფრთაზე შეისვა და გასრიალდა!..

ვ. რუხაძე

# ლევან ბატონიშვილი

(გაგრძელება. იხ „თ. ც." № 37)

**დავით ბატონიშვილი სწერს:** „1802 წ. ადადგინეს ამბოხი კახთა და წარუვლინეს კაცი მეფის-ძეს იულონს იმერეთს, რათა მოვიდეს კახეთს და ჰყონ მეფედ. მასრულნი ესე კაცნი მეფისძეს ვახტანგთან დუშეთს, ამანცა (ვახტანგმა) მისწერა ძმასა თვისსა იულონს, რათა მოვიდეს და ესეცა მწე ეყოს მას არაგვთა მხედრობათა. მსმენელთა რუსთა ტფილისით წარავლინეს დიანარალ-მაიორი ტუჩკოვი, რათა შეიპყრან, და თანა წარატანეს თარხნიშვილი სოლომონ. მისვლა მათი სცნა ვახტანგმა და გაიქცა, დუშეთით ავლვიდა გუდამაყარს და მუნ განმაგრდა, ხოლო ვინაითგან ხალხმა მუნებურმა და არგვეთა ფშავ-ხევსურთაცა არა მისცეს პირი, ამად უძლო ჩა მოვიდა ტფილისს, და პატიმარ ჰყვეს რუსთა აულაბრის სასახლესა შინა დედოფლისასა ვიდრე მოსვლადმდე ციციანოვისა, ხოლო მან მაწრაფლ წარავლინა რუსეთად. (მასალები საქართ ისტორიისათვის, გვ 64).

ბუტკოვი (სტ. II, გვ. 535—543): მანიფესტი რომ გამოცხადდა (12 ენკ. 1801წ.) ორიოდე თვის შემდეგ კახელებმა თავის მეფედ გამოაცხადეს იულონი და შეჰფიცეს მას. გლეხები ამას არ იწყნარებდნენო. გამოძიებამ შეპყრობილებს აღმოუჩინა: ა) ხელის-მოწერა შესახებ მეფედ დადგინებისა ბაგრატიონთა შთამამავლობიდამ, ბ) ამის შესახებ თხოვნა იმპერატორისადმი და გ) წერილი, რომელთან ერთად თხოვნა უნდა გაეგზავნათ გარსევან ჭავჭავაძისთვის პეტრეს ქალაქს. ამას გარდა ყოველი მომხდარი ეცნობებინათ იულონისთვის და ვახტანგისთვის დუშეთს. ჯარები დაიძრა კახეთისაკენ და დუშეთისაკენ. კახელები დაშინდნენ და იულონსა და ვახტანგს აცნობეს წინადელი ჩვენი დადგენილება მეფის არჩევის შესახებ გავაბათილეთო. ამასობაში ტუჩკოვი მივიდა დუშეთს. ვახტანგი გაიქცა გუდამაყარს. იგიც ყველამ დასტოვა. გამოეცხადა ტუჩკოვს და მან მოიყვანა ტფილისს, საიდანაც წარგზავნეს რუსეთს და ივნისში 1803 წელს უკვე წარუდგა ხელმწიფე იმპერატორს (ბუტკ., III, 369).

ეროვნული ბიბლიოთეკა

28 ივნისს 1802 წელს გულუბრყვილო ყაენი ბაბა-ხანი სწერდა იმერეთის მეფე სოლომონს და იულონ-ხანს: „საქართველო ერანის თვითმპყრობელობის ნაწილია. მეფე გიორგიმ და მისმა შვილებმა ღალატით და უგუნურობით მოიყვანეს რუსთა მცირე ჯარი თავიანთ საშველად და ჩააყენეს ტფილისში... მეფის-ძე იულონი ჩამომავალი საქართველოს მეფეთა, არჩეულია, ცნობილია და ჯერჩინებულია მეფის ხარისხით საქართველოში, და რადგან მისი დამტკიცება ეკითხება ჩვენს უმაღლესს კარს, ამიტომ ვუბრძანეთ უკვე ჩვენს ფირ-ყული-ხანს ჩვენის უძლეველ ლაშქრით მიეშველოს იულონ-ხანს მის დასამტკიცებლად და მისთვის იქაურ მიწების დასაპყრობად და დასამორჩილებლად“ (ბუტკოვი, ტ. II, გვ. 528, ტ. III, გვ. 355).

ასე ფიქრობდა ბაბა-ხანი და ავიწყდებოდა კი, რომ ძალა არ შესწევდა გამკლავებოდა რუსთა ძლიერებას, რომლის ორიოდე როტის შეტევა, ისიც პ. ციციანოვის ხელმძღვანელობით ელეთ-მელეთს ჰგვრიდა სპარსთა უამრავ ურდოებს და რუსეთს ზედიზედ სძენდა სახანოებსა და სამელიქოებს,

თვით საგორებელს (იმერეთის მიჯნაზე) მდგომ „იულონ-ხანსაც“ შემოუარა (24 ივნ. 1804 წ.) ციციანოვის დასტამ, შეიპყრო და გაუყენა ჩრდილოეთისაკენ მიმავალ გზას.

იულიონი მიდიოდა ერევანს. ჩამოდგა რა ულევს ეწერსა, ვიღაც იმერელმა აცნობა სურამში მდგომ რუსებს მისი აქ ყოფნა. რუსები დაესხნენ 29 ივნისს განთიადს, დაუხოცეს მხლებლები თარხნიშვილი ტიტია, ჩერქეზიშვილი ფირან და ქეზელი დათუა ძითურთ. მერე მიესივნენ იულონს. ერთმა მოუღერა ხიშტი, მაგრამ გადაეფარა მისი ფარეში ხუცესი დავით აბაზაძე და იხსნა სიკვდილისგან. ამასობაში განივლტნენ მასთანავე მყოფნი მისი ძმა ფარნაოზი და მისნი ძენი ლეონ და ლუარსაბ. ფარნაოზი და ლეონ ჩავიდნენ აწყურს ლეკებთან, ხოლო მცირე წლოვანი ლუარსაბ მოვიდა ზურაბ წერეთელთან, რომელმაც შეიწყნარა იგი. (იხ. ჩვენის რედაქციით დაბეჭდილი მასალ. საქართ. ისტორიისათვის, შედგ. დავითი გიორგის-ძისა და მის ძმების გვ. 73). 1805 წელს ფარნაოზი გამოჩნდა არაგვის ხეობაში. კახელებმა იგი მიატოვეს და მივიდნენ წინაშე ციციშვილისა. ფარნაოზი მთის გზით მივიდა მანავს, გარესჯას, გადავიდა ყაზალს და ავიდა სომხის სოფელს ალდანს ყაზახის მოურავმა სოლომონ ავალიშვილმა სცნა-რა მოსვლა ფარნაოზისა, სომხის დონდუზჩიოღლის წინამძღოლობით თავს დაესხა დალალუღ ბატონიშვილს, შეიპყრა ფარნაოზი მის თავადებითურთ და მოჰგვარა პავლე ციციშვილს ტფილისს. იგი შეაგდეს საპყრობილეში და მერე იულონთან ერთად გაგზავნეს რუსეთს—ფარნაოზი ვარონეჟს, იულონი—ტულას (იქვე, გვ. 75).

მ. ჯანაშვილი

# მამალი და ძაღლი

(არაკი)

მამალი და ძაღლი დამეგობრდენ.

სთქვეს, მოდი ერთი სოფელი ავაშენოთო.

და წავიდნენ ერთ ტყეში.

მამალი მაღალ ხეზე შემოჯდა,—ძაღლი კი იქვე მახლობლად მიწვა და თავი მოიმძინარა.

მამალმა ყივილი დაიწყო. მელა იქვე დაიბადა.

— მამალო, აქ რამ მოგიყვანა?—შესძახა მას მელამ.

— სოფელი მინდა ავაშენოო—მიუგო მამალმა.

— მეც მიმიღე!—შესთხოვა მას მელამ.

— კარგი, მაგრამ ჩემი დივანბეგი მანდ არის და შეეკითხე!—უპასუხა მამალმა.

მიიხედა მელამ გვერდით და მართლაც ვებერთელა ძაღლი კი დაინახა. ძაღლმა უთხრა:—სიამოვნებით მიგიღებთ, მობრძანდით და ხელი მოაწერეთ, რომ არ გვიღალატებთ.

მელა მაშინვე მიხვდა საქმე რაშიც იყო და ელვის სისწრაფით მოჰკურცხლა, ძაღლი კი უკან გამოედევნა.

როცა მელა სერზე ავიდა, იქიდან დაცინვით გადმოსძახა:—მაგ ოსტატობით თქვენ რომ სოფელი ააშენოთ, მე ნუ გამიყოფთო.

ლ. ძიძიგური

# საბა

ვენახში მხიარული ფაცა-ფუცია. ქალე-ბი და ვაჟები ხითხით-კისკისით ართმევენ ერთ-მანეთს პატარა კალათებს და გოდრებში სცლიან; ბავშვები იზმუზნებიან ყურძნით და ცდილობენ უფროსებს არ ჩამორჩნენ — ისინიც გამალებით ჰკრეფენ. ბებერი ბაბუა სუსტ ფეხებს ვეღარ გადმოუყვანია ვენახში და რომ ვეღარაფერის აჩერხებს ხელით გააკეთოს, ენით ეხმარება ნადს — გაჰკივის:

— აბა, თქვენი ჭირიმე არ მოუწყინდეთ, დაუჩქარეთ, მზე იხრება, ... ც იდვაა გამოკრე-ფილი ვენახის დატოვება.

— ამიწიე კაცო, — უძახის ერთი ბიჭი მეორეს...

უკანასკნელი ყურადღებას არ აქცევს. გოგო დაუძახებლად ეხმარება.

— შენს ქორწილზე კი ვიცეკვებ, ირი-ნე, პატარა მაიმუნივით. ნიშნად მადლობისა ამბობს ბიჭი და გარბის.

ახალგაზრდა ბიჭებს თითქოს არ ამძიმებს ბეჭზე გადებული ყურძენი, ისე ქარივით გარბიან მარნისკენ და ისე მხიარულად იწმენ-დენ ოფლს, როცა უკან მორბიან ცარიელ გოდრით.

საწნახელი სავსეა. სახლის პატრონი დიდი უროთი ჰეჰყს ყურძენს, რომ ჩაატიოს დანარჩენი.

უხვია მოსავალი, დალოცა ღმერთმა შრო-მის მუშაკის ხელი.

გოგოებს ენაზე აკერიათ სიკო, თედო, ფილიპე. ისინი არიან არჩეულნი.

— სიკო კალათი დამიცალე...

— ფილიპე ე ხარდანი ჩაასვი წამოიქცა ვენახი.

— თედო, სიკო გიძახის გოდორი ამიწიეო...

გოგოთა შორისაც არიან რჩეულნი: თითქოს შავი ღრუბლები მთვარეს ირგვლივ ნავარდობენო, ჯმუხი წვერ ულვაშ ცაყრილი ბიჭები თავს დასტრიალებენ ქერა ქალიშ-ვილს. დაიხრება იგი ვაზის ძირში დარჩე-ნილ მტევნის მოსაწყვეტათ, — ვინმე მოასწ-რებს და თვითონ მოსწყვეტს; გაუჭირდება ვაზის გადახლართულ ყლორტებში გასვლა, — მარდად გასწყვეტენ გადახლართულ ლერწს და გაუკაფავენ გზას; კალათის გავსებას ხომ არავინ აცლის, ისე სიჩქარით ჩამოართმევენ, და მთელი ეს ცდა ჯილდოვდება, მხოლოდ, ხელის ხელზე ოდნავის შეხებით, მადლიერის შეხედვით, ტყე წამწამის ბალახად აბიბინე-ბით. ირინესაც არ სტოვებენ უყურადღებოდ... მაგრამ ირინე ამხანაგურ-მეგობრულის ქცე-ვით იზიდავს.

თალიკოც მუდამ გარს შემოხვეულია, მაგრამ თალიკო ენა მახვილია და მასთან ხითხითი აჩერებს ბიჭებს.

ქერა ქალიშვილი ნახევწი აბრეშუმის თმიანი, ლურჯ დიდ თვალებიანი, მაღალი, არავის იზიდავს, არავის იწვევს, ძვირად ლაპარაკობს... მაგრამ ირგვლივ უნებლიეთ უტრიალებენ.

— სხვათა შორის საბაც...

საბა, უხერხულად შექმნილი ადამიანია, თავი დიდი აქვს, ტანი ფეხებზე ბევრათ გრძე-ლი. მსხვილი მკლავ-ბარკალი და დაბალი კი-სერი. მაგიერათ ღონიერია დათვივით... და დაულალავი მეძებარსავით.

— საბა, შენ მაინც დაგვეხმარე, შე კაცო, — უძახიან მოხუცი და ხანში შესული ცალკე ჯგუფად მომუშავე დედაკაცები. მოგვიტანე ერთი გოდორი, ყველას ხომ მარინე ვერ აავსებს.

— ახლავე, ბიცოლა, ახლავე! — და სა-ბას მოაქვს გოდორი, სცლის შიგ კალათებს, დაუხმარებლად თვისის ძალის შეგნებით და გამოსაჩენად ყოყოჩობით, იგდებს ზურგზე და მანქვა-გრეხით მიაქვს მარანში.

— საწყალი, პეტრე რომ უფრო მ ხერ-ხებული იყოს, ერთ ოჯახს მაგიც ქე არჩენდა.

— შე, ქალო, ახლა რა უჭირს?

— ბეჩა, სალომე აბა ვინ წაყვება მაგას?..

— ისე იცოცხლე რომ წაყვება... მე დალოცვილო, ხომ უყურებ საკაცეთი დედ-ლია... ძლაბები სოკოსავით იზრდებიან და ე ბიჭები ზოგი ჯარშია... ზოგი სამუშაოში... გოგოების საცოდაობა მკლავს. სარზე გედე-ეხვევიან სხვა რომ არაფერი!

საბამ გოდორი უკანვე მოიტანა, ვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი ჰაერში შეატრიალა ხელის სიმარდის სა ჩვენებლათ და ისევ გოგოებისკენ აპირებდა წასვლას.

— მეიცა, შეკაცო, შენთვის არ ცალია ახლა მარინეს... ჩვენთან დარჩი, ჩვენ უფრო გამოგადგებით, უხუმრა ერთმა მოხუცებულმა დედაკაცმა.

— შენ გაზდას აქანე ნამეტანი გაბურდულია ეს ვენახი და მიწი-მოწ ე.

— ახლავე, ახლავე!—და საბამ სასწრაფოთ გაწყვიტა ორ-სამს ადგილას ლერწი.

— საბა, ერთი თუ კაცი ხარ, გოდორი წეიღე,—დაუძახა ფილიპემ.

— ბიჭო, შენ ვერ წეიღებ?..—შეუტია ბიცოლამ ფილიპეს.

— დევიღალე, შე ოჯახ-ქორო, ღმერთი არ არი?!...

— რა დეიღალე?! ლაზღანდარობამ დაგღალა თუ?!..

— რაც ყურძენი იყო მე გადევიტანე—ჩაურთო საბამ.

— თუ, დეიმადლებოდი არც ქე შეგაწუხებდი?—უსაყვედურა ფილიპემ.

— არა, ა!— შერცხვა საბას, რომ ბიძის ნადში ზარმაცობა შეწამეს.— მე ისე ვთქვი... ჩემზე მეტი არავის უმუშავნია-თქვა, თვარა გოდორი მეიტა!— და გოდორი, რომელიც ფილიპიას უნდა ხელო, საბამ გაიგდო ზურგზე. ფილიპემ მხოლოდ ოდნავ აუწია.

* *
*

— მალე გაათავებენ? დაეკითხა საბას სახლის პატრონი, რომელიც საწნახელში უკვე ჩაყულიყო და ფეხით ზელდა ყურძენს.

— ერთი მუხური დაგვრჩა წაბლთან.

— აბა, ჩეეტევა?

— უნდა ჩეეტიოს..—და საბამ დაკვირვებით გადახედა საწნახელს.

— უნდა ჩეეტიოს!! იქინე ხარ და ვერ შეამჩნიე?!

საბა დაბრუნდა. მამასახლისი საწნახელიდან ამოვიდა და ცოლს გადასძახა:

— სუფრა დაამზადე, სადაც არის გაათავებენ და მოვლენ.

* *
*

საბა მივიდა ისევ დედაკაცებთან.

— საბა გინდა ცოლის შერთვა?

— თუ ბაბუ იტყვის, რატომ არა? თავდაჭერით უპასუხა საბამ.

— მერე რათ გინდა შენ ცოლი?—ოდნავის დამცინავის ღიმილით ჩაეკითხა ენა მწარე დედაკაცი.

— იმე, რატომ არ მინდა,—გაიფიქრა გულში საბამ და თვითონაც გაიღიმა.

— მე გ გირიგებ ცოლს, ნუ გეშინია!—დაამშვიდა სალომემ საბა.

მოსაკრეფი ცოტა დარჩა ყველა ეჩქარებოდა ლაპარაკს უკლეს. სიომაც შემოჰკრა.

— ერთი შეუტიეთ, ერთი და მერე ვახშამს მოუჯდეთ!—გაამხნევა სახლის პატრონმა ნადი.

— რა დროს ვახშამია?

— აბა უჭმელს ხომ ვერ გაგიშვებთ, გინდ ვახშამი დაარქვით და გინდ სამხარი..,

— კაი გიმუშავნიათ—აგაშენოთ ღმერთმა გვარიანათაც მოგშივდებოდათ.

ერთი კიდევ შეუტიეს და კრეფვა გათავდა. უკანასკნელი გოდორი მხარზე გაიგდო, ერთი მტევანი ხელში დაიჭირა და ყურძნის ჭამით გადმოვიდა საბა ვენახიდან.

— ბიჭო ასე ბალნათ დაბერდები,—შეუბღვირა ბაბუამ საბას—სულ ყურძენს იბლოსნებე: შე საცოდავო სხვებს ვერ მიხედავ მაინც... შენი ხნისაა სიდონიე, მარა შეხედე პირველი მუშაა, ლინჯი კაცია.

— მეც ქე ვმუშაობ, რას ჩამაცივდი!? დაუღრინა საბამაც ბაბუას...

სამხარი ვახშმად გადიქცა,

დიდებულათ გაუმასპინძლდა ნადს მათე.

ყველას რიგ-რიგათ უსხამდა მღვინოს მათეს პატარა ბიჭი—გოგია. მხოლოდ საბა გამოირჩეოდა ხშირათ და როცა საბა ჩაიგონებდა, ბოლოშსაც არ მოიხდიდა—ისე შეუვსებდა ვისმე ჭიქას და უხეშად მიაწოდებდა.

ყველას სადღეგრძელო დალია მათემ.

— ყველას მადლობა ამ ხრას ამ მეზობლობისთვის, შეაქო, მუშაობა მოუწონა განსაკუთრებით ფილიპე აქო და ადიდა, მარა ის ხომ სასიძოთ უნდა, ღმერთმა ხელი მოუმართოს ისიც მართალია, რომ საბა ძმისწულია და დიდი მოვალეობა არ არის ეს აქიაო, თუ მერიქიფე საკუთარი შვილი, როგორ არ დავიწყებდა, საბამ რა დააშავა?

ნ. ლორთქიფანიძე

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სიტყვა

როგორც მედროშე,
მკერდ-ხვითქიან ქუჩაზე მჯდარი,
ჰბელადობს ლაშქარს,
ალომგულებს ბრძოლისა ველად,—
ისე ვამხნევებ ჩემს შევარდნებს,
მამაც ფრთიანებს,
ისე მიუძღვი
ჟვავ-ყორნების შესამუსვრელად!

**გ. ქუჩიშვილი**





**პრაპ. დათიკო დიმიტ. ბზიავა** (დაჭრილია). **თავ. ალექს. (სანდრო) ჩიქოვანი** (დაჭრილია).

# ვალერიან გუნია ლოგინშია!

გამუდმებულმა, შეუსვენებელმა, მუშაობამ და ცხოვრების უკუღმართმა პირობებმა თავისი გაიტანეს,—ლომივით ვაჟკაცი—ვალერიან გუნია ძირს დასცეს და აგერ მეორე კვირაა ლოგინში წევს დაავადმყოფებული....

ხომ გინახავთ სადარაჯოზე მდგარი გუშაგი: რაც უნდა საფრთხე ელოდეს მინდობილ ადგილს რომ ვერ გაშორებია?!—

მუდამ ასეთი იყო და არის ვ. გუნია.

იგი მუდამ თავგამოდებით ზრუნავდა ქართული სცენის კანდელი არ ჩამქრალა...

უკანასკნელად ბათომში გაიწვიეს ახალგაზდა მსახიობქალის ბენეფისში მონაწილეობის მისაღებად. წასვლის წინადღეებში მსახიობი შეუძლოდ იყო, დაუშალეს: დეპეშით ვაცნობოთ რო ავად ხარ და ნუ წახვალო...

სიტყვა მივეცი და ვერ გავტეხავო! - იყო პასუხი მსახიობისა.

და წავიდა. ენკენისთვის 4 ბათომში წარმოდგენა დაიწყეს მესამე მოქმედების ბოლოს ვალიკოს გული შეუღონდა,—მოიხმეს ექიმი, დაუშალეს განგრძნობა, მაგრამ,—მსახიობმა მაინც თავისი ვალი მოიხადა დიდძალი საზოგადოების წინაშე, რომელიც თეატრში შეკრებულიყო და კმაყოფილიც დაიშალა.

განა მაყურებელი როდისმე დაჰფიქრებია, სცენაზე მოხარხარე მსახიობს გულში რა ჯოჯოხეთი უტრიალებს?—არასოდეს. არც ვ. გუნიას შინგან—შინაურ მდგომარეობას ჩაჰკვირებია.

მსახიობი თბილისში დაბრუნდა და მას დღეს აქეთ ლოგინადაა ჩავარდნილი, დროგამოშვებით ექიმი შ. მიქელაძე დახედავს ხოლმე. მაგრამ ნუ თუ მხოლოდ ამითი ემკურნალება ავადმყოფ მსახიობსა და მის მრავალრიცხოვან ოჯახს?!

მას ესაჭიროება ბეჯითი მკურნალობა, დასვენება და ცხოვრების სახსარი...

საჭიროა ამაზე დროით ვიზრუნოთ.

**იოსებ არიმათიელი**

**ს. ცაიშის დრამატიული წრე.**



ორი წელიწადია, რაც სოფელ ცაიშში (ზუგ. დიდის მაზრა) ბედგა აუგილობრივ მკვიდრთა მიერ სცენის მოყვარეთა წრე, რომელიც ენერგიულად ემსახურება თავის მიზანს. მთელ სამეგრელოში იშვიათია ისეთი სოფელი და თვით დაბაც, სადაც ასე ხშირად იმართებოდეს წარმოდგენები, როგორც ცაიშში. ამ მხრით ცაიშმა მიიპყრო თვით ზუგდიდლების ყურადღებაც, თუმცა ამ უკანასკნელთ არავითარი დახმარება და თანაგრძნობა არ აღმოუჩენიათ მისთვის. ცაიშში წარმოდგენები იმართება უმეტეს ნაწილად მომავალ ბიბლიოთეკის სასარგებლოდ. ცაიშელებს განზრახვა აქვთ აგონ საკუთარი შენობა ბიბლიოთეკისა და თეატრისთვის, რომელთა ფონდის განსაძლიერებლად კაი ძალა ფულია შეგროვილი. ამ რიგად ცაიში კულტურულად წინ მიდის, რასაც ხელს უწყობს მკვირცხლი და შეგნებული საზოგადოება და ინტელიგენცია. საჭიროა ცაიშს მიბაძავდენ სხვა სოფლები და ხელს შეუწყობდენ კულტურულად ჩამორჩენილ სამეგრელოს პროგრესისაკენ მისწრაფებაში.

**ვ. ცაიშელი,**

---

# იძულებულნი

ისტორიული დრამა ერთ მოქმედებათ **ლ. ელიაშისა**, ნათარგმნი ძველი ებრაულიდან ქართველ ისრაელის **ნ. ელიაშვილის ბენ-დავიდის** მიერ

> ... და შენ უწყალოდ გტანჯეს, გაწამეს,
> შეუბრალებლად გიჯიჯგნეს გული,
> მთლად შეგიგინეს წმიდათა-წმიდა—
> შენ კი ითმენდი დადუმებული.
>
> შენ ღვთის სახელით გტანჯეს, გაწამეს—
> ვითომ **„ის“** ასე მათ უბრძანებდა;
> მაგრამ მ თ სასტიკ ულმრთო ქცევაზე,
> თვით სატანაც კი ცრემლებსა ღვრიდა. .
>
> **ნ. ელიაშვილი—ბენ-დავიდ**
>
> . . . . . . . . . . . . . . . .
> შენ ისპანეთი ვარდათ გარდაჰქმენ,
> და ის კი შენთვის გარდიქცა ეკლად...
> . . . . . . . . . . . . . . . .
>
> **ი. ლ. გორდონი**

**მოქმედნი:**

**დონ ალონსო დე-მენდოსა** მდიდარი ვაჭარი მადრიდში, იძულებულთაგანი, ანუ ძალად გადარჯულებულ ებრაელთაგანი.

**დონნა ლაურა**, ამისი ცოლი.

**დიეგო**, ამათი შვილი, 13 წ.

**კლარა**, ამათი ქალი, 12 წ.

**დონ იმანუელ**, პატივცემული მოხუცი, იძულებულ ებრაელთაგანი, დიეგოს და კლარას მასწავლებელი.

**დონ ენრიკას**, **დონ ლაპეს**, **დონ მენდეს** — ხალხის წარჩინებულთაგანნი მადრიდში, იძულებულთაგანნი

**ფერნანდო**, მოხუცი კაცი ტანდაბალი და სნეული, მსახურობს ალონსოს სახლში.

**დონ როდრიგო დე-ვალერო**, ვაჭარი, კათოლიკე, ალონსოს მეზობელი.

**ენრიკო**, ამის შვილი, 14 წ. დიეგოს და კლარის მეგობარი.

ძალად გადარჯულებული ებრაელნი, კათოლიკენი, მღვდელნი და შეიარაღებულნი ჯარის კაცნი. მოქმედება სწარმოებს ესპანიის სატახტო ქალაქ მადრიდში.

გამოქვაბული ალონსოს სასლ ქვეშ. მაყურებელთა მარჯვნივ მოსჩანს კიბე, რომლითაც ჩამოდიან სახლიდან გამოქვაბულში. ჭერში მოსჩანს ოთხ-კუთხად ამოჭრილი—ეს არის კარი, რომელიც იკეტება შიგნიდან მძიმე ურდულებით, როს ხალხი იკრიბება გამოქვ ბულში. მაყურებელთა პირდაპირ სდგას წიგნების შკაფები. მარცხნივ—კედელთან სდგას დაბადების კიდობანი, მის გვერდით გამართულია „ტრიბუნა“. შუა გამოქვაბულში სდგას დიდი ოთხ-კუთხი მაგიდა. ოთახის სიბნელეს ცვილის სანთლები არღვევენ.

I

**დონ ალონსო** და **დონნა ლაურა**

**დონ ალონსო** (შუა გამოქვაბულში მდგარ მაგიდასთან ზის და წიგნის კითხვაშია გართული, რომელიც წინ უძევს).

**დონნა ლაურა** (ზის მაგიდასთან ალონსოს პირდაპირ გულ-ხელ დაკრეფილი, თავ-ჩაღუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნული სახე ნაღვლიანი აქვს, ეტყობა მძიმე, სამწუხარო ფიქრებში გართული. რავდენიმე ხანს დუმილია. შემდეგ აიღებს თავს და მიაშტერდება ქმარს მდუმარედ) ალონსო! (ალონსოს არ ესმის და განაგრძობს წიგნის კითხვას გაუნძრევლად. უძახის უფრო ხმა მაღლა). ალონსო! (კიდევ ერთხელ გაიგონა. უფრო ხმა მაღლა) ალონსო!!

**დონ ალონ.** (გამოერკვევა, აიხედავს და ცოლს შეხედავს) რა გნებავს ჩემო ძვირფასო.

**დონნა ლაურა.** ჰმ...ჰმ... არასფერი. მე მხოლოდ ის მინდოდა მეკითხნა, ამაღამ აქ ბევრი ხალხი შეიკრიბება?

**დონ ალონ.** ასე ათიოდე კაცი. სანოვაგეც რომ ათი კაცისა უბრძანე გაამზადონ. (ხელ ახლად იწყებს წიგნის კითხვას, მხოლოდ ერთ წუთს შემდეგ მეორედ აიხედავს და ცოლის ნაღვლიან სახეს მზრუნველობით მიაშტერდება. შემდეგ ადგება და ცოლს გვერდით მოუჯდება, ხელს დაუჭერს და ელაპარაკება მოწყვეტით). გამიგონე ლაურა!

**დონნა ლაურა.** რა?

**დონ ალონ.** ეს რავდენიმე დღეა დაკვირვებით გიყურებ და გატყობ რომ ამ უკანასკნელ ხანში ძალიან გამოიცვალე. შენ სრულიად მოგშორდა მხიარულება და მის მაგიერ შავმა ღრუბლებმა მოიცვა შენი მშვენიერი სახე. არა, უეჭველად რაღაც გაწუხებს და გულს გიღრღნის. მე, მე ხომ შენი ქმარი ვარ — ნუ თუ არ გსურს გამიმხილო შენი საიდუმლო და მითხრა გულის პასუხი; იქნებ შევძლო ნუგეშის ცემა და ნაღვლის შემსუბუქება.

**დონა ლაურა.** (უხვევს ქმარს და ზედ უყურის მდუმარედ).

**დონ ალონ** ან და იქნება ისეთი რამ გაკლია, რომლის მიღწევაც არ ძალგიძს: გეფიცები, ამიხსენი შენი სურვილი, და, თუ კი შემეძლება როგორმე, გულის ნადილს შეგისრულებ. ნუ თუ არ იცი, რომ შენთვის, ჩემი საყვარლისათვის არასფერს არ დავზოგავ?

**დონნა ლაურა.** (თავს აქნევს უარის ნიშნად, თითქმის ჩურჩულით) არა, არასფერი არ მაკლია.

**დონ ალონ.** იქნებ რამე ფათერაკი შეემთხვათ შენს მახლობლებს ანუ ჩემიანთ: ინკვიზიციას ხელში ჩაუვარდნენ და შენ-კი მიმალავ?

**დონნა ლაურა.** (კვალად თავს აქნევს უარის ნიშნად) არა, არა!

**დონ ალონ.** იქნებ... (სწყვეტს ლაპარაკს, დაფიქრდება ერთ წუთს, შემდეგ გამოერკვევა, საყვედურით) ან იქნებ მწარე იჭვი ადგებრა და ის არ გასვენებს? იქნებ რწმენა შეგერყა და აღარა გაქვს იმედი უფლის შემწეობისა, რომ ბოლოს-მაინც გვიხსნის ამ ლომის კბილებიდამ, ამ სისხლით შესვრილი ქვეყნიდამ, რათა შევგვეძლოს თავისუფლად ვიცხოვროთ ჩვენი სარწმუნოებით?

**დონნა ლაურა** (აწყვეტინებს) არა, არა!.. ოჰ, ჩემო ძვირფასო, ეგ არ არის ჩემი გამომწვევი. ჩემი რწმენა ჩვენი ღმერთისადმი არ შერყეული და არც იმედი დამკარგვია: კვალად მზათა ვარ ყოველ დღე, ყოველ წუთს თავი გავწირო ჩვენი სარწმუნოებისათვის, მაგრამ...

**დონ ალონ** მაგრამ?

**დონნა ლაურა.** მაგრამ მე ვზრუნავ ჩვენი ძვირფასი შვილებისა და მათი ცხოვრებისათვის. ეს რავდენიმე დღეა გული რაღაც დიდ უბედურებას მომასწავებს. ასე მგონია, თითქოს რაღაც დიდი უბედურება დაგვტრიალებს თავს. მე მათრთოლებს და მაშინებს სულ მცირედი ხმაურობა—მოძრაობა, რომელიც-კი ჩემ ყურამდე მოატანს. ისე მეჩვენება თითქოს, ეგერ ინკვიზიციის წევრნი უკვე კარებს უკან სდგანან და არახუნებენ. ჩემი თავისა არ მედარდება, მე ის უკვე ღმერთს ჩავაბარე. შენც იცი როგორ უნდა უშიშრად სიკვდილი ჩვენი სარწმუნოებისათვის. მაგრამ ჩვენი შვილები, ეს პატარანი, რომელთაც ჯერ არასფერი არ იციან!.. ოჰ გული რაღაც უბედურებას მიგრძნობს...

**დონ ალონ.** რათ ეძლევი, ჩემო ძვირფასო, მაგისთანა ნაღვლიან ფიქრებს? განიდევნე გულიდამ ეგ ფიქრები და ესავე ღმერთს: ის დაგვიცავს და დაგვიფარავს ყველა ბოროტ შემთხვევისაგან. (წამოდგება და წინ და უკან დადის, ფიქრებში გართული)

**დონნა ლაურა.** ეგ მართალია, მაგრამ ის უბედურებანი, რომელიც თავს ატყდებათ

271
ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს თანამოძმეთ ყოველ დღე, წებას არ მაძლევს, გულიდამ განვსდევნო ეს ფიქრები, ა-ამედ უფრო და უფრო მმატებენ შიშსა და მაძრწოლებენ. შენ ხომ იცი ინკვიზიცია თანდათან ძლიერდება და შვიდის თვალით სდარაჯობს ყველა ჩვენს მოძმეს ყოველ ფეხის გადადგმაზე. ათასობლივ საიდუმლო ჯაშუშები ჰყავთ, რომელნიც აკვირდებიან ყველა კაცის ქცევას; გულ-მოდგინედ ისმენენ რასაც-კი ვინმე რამეს იტყვის. და თუ-კი ნახეს, ანუ ყურში ჩაეწვეთათ რამ, მსწრაფლ აცნობებენ ინკვიზიციას. ნუ თუ არ იცი, ჩვენი მოძმეთაგანი რავდენი შეიპყრეს ამ უკანასკნელ ხანებში? ნუ თუ არ იცი ის ტანჯვა-წვალება, რომელიც აიტანეს მღვდლების ხელში ჩაცვივნით, და მათი საშინელი სიკვდილი აუტო-და-ფე ცეცხლში?

**დონ ალონ.** ვიცი ვიცი ყველა ეგ! დიაღ, ძალიან დიდ საფრთხეში ვცხოვრობთ. საშინელი უბედურება დაგვტრიალებს თავს და ყოველ საათს, ყოველ წუთს ფათერაკი მოგველის. მაგრამ რა ვქნათ? რა ძალა გვაქვს? შენ თვითონ იცი, რავდენჯერმე ვცადე ამ ქვეყანას მოვშორებოდი, მინდოდა თავი გამერიდებინა, მაგრამ ჩემმა ს მკვიდროებამ და საცხოვრებელმა შემაყენა. აი, ახლა მიტომ ვიწყე ნელ-ნელა მამულების გაყიდვა, რომ არ მიმიხვდენ: მინდა მთელი ჩემი საცხოვრებელი ფულზე გადავახურდავო, რათა შემეძლოს ოქრო გამოვკრა და თან წავიღო საცა წავალ. მართალია, კიდევ ბლომად გვრჩება გაუყიდავი მამულები, მაგრამ — შენც იცი, მზათა ვარ მივატოვო ყველა ეს, თუ როგორმე მოვახერხე ამ სისხლიან ქვეყნიდან გასვლა, რათა თავისუფლად ცხოვრება. უკ-ბად რო მივატოვოთ ეს ქვეყანა — მაშინ მიგვიხვდებიან და ინკვიზიციას გადაგვცემენ, მაშასადამე, ისე უნდა მოვახერხოთ, როგორმე ჩუმად გავიპაროთ. მაგრამ ამისთანა საქმეს ხელსაყრელი დრო სჭირია, და ეს დრო-კი ჯერ არ დამდგარა, ვინაიდან — შენ თვითონაცა სთქვი, — ინკვიზიციამ ძალა უფრო და უფრო მოიხვეჭა, თავისი მართველობა განაძლიერა, უნდა მოვიცადოთ და ვესავოთ უფალს: ის შეგვეწევა და გვიხსნის ამ წყეულ ქვეყნიდან. (დადის წინ და უკან, ნაღვლიან ფიქრებში გართული).

**დონა ლაურა.** (თხრუგს მდუმარედ)

**ნ. ელიაშვილი — ბენ დავიდ**

(გაგრძელება იქნება)

* * *

დაფარე გრძნობა, დაფარე ზრახვა,
დაფარე ტანჯვა, ბედით ხვდენილი:
არვის გაენდო, ჩაიკალ გულში
ობლათ იარე, ობლათ შთენილი!..
შენს ტანჯვას არვინ გაიზიარებს,
არ გამოგიწვდის იმედის ხელსა,
მწარე დაცინვით გაგატიალებს,
ფეხ ქვეშ გათელავს შენსა სახელსა!..
არარის კაცი ადამიანი,
ვის სხვის ტანჯვა მიაჩნდეს ჭირად, —
პირიქით შენსა მტარვალ-მწამებელს,
ის გაუხდება მოსარჩლე გზირად...
დაფარე გრძნობა, დაფარე ზრახვა,
დაფარე ტანჯვა, ბედით გმობილო. —
არვის გაენდო, ჩაიკალ გულში,
ობლად იარე ობლად შობილო!..

**დარია ახვლედიანისა**

# სააპრილო ოცნებიდან

მიყვარს აკაკის ოცნება,
რუსთველის სიმთა ჟღერანი, —
სევდაა საქართველოსი
ჩემი ფიქრების მერანი!
და ვფიცავ, ვფიცავ მომავალს,
ვფიცავ სულით და გულითა,
მას სავ კერპებზე ვილოცო
სამახვეროპლო სამკაულითა.
მაგრამ თუ ვერ ვთქვი ახალი,
თუ იქნა განმეორება —
მაშინ დადუნდით სიმებო!
სიკვდილი მეომბორება!

**ნიმ. წმიდელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თანამედროვე მსახიობი და მისი ტრაგედია

იხ. „თ. და ც." № 37

დიდი გავლენა იქონია თანამედროვე მსახიობზედ ახალმა ნატურალისტურმა თეატრმა. ნატურალისტურ თეატრში პიესის „დადგმას" უფრო დიდი ყურადღება აქვს მიქცეული, ვიდრე მსახიობის შემოქმედებას. ხშირად „დადგმა" პიესას მთლად ჰკლავს ხოლმე და ავტორის შემოქმედება მეორე როლს თამაშობს. ეს ერთი მხრით სცენიური დეკადენტობა გახლავთ. გარეგნულ ფორმის გადმერთება და შინაარსის მსხვერპლად შეწირვა! მაშ რა არის ეს „ახალი დადგმა" კლასიკურ პიესებისა, ეს „ანტიური თეატრის" აღდგენა თუ არა გარეგნული მოხაზულება და შინაარსის და იდეის დადუპვა? აი ამ მიმართულების მთელი პლეადა:-რეინჰარდტი, ფუქსი, კრეგი, ევრეინოვი, მარჯანიშვილი და სხვა. ყველა ამათგანი უფრო გარეგნულ მხარეს „დადგმას" აქცევს ყურადღებას ვიდრე შინაარს, ავტორს და მსახიობს. ჩვენ სრულიადაც არა ვართ იმის მოწინააღმდეგენი, რომ პიესა შესაფერისად დაიდგას, მოეწყოს კარგად. პირიქით, მაშ რისთვის გვინდა თანამედროვე განვითარებული ტეხნიკა თუ მას არ გამოვიყენებთ და არ ვისარგებლებთ, რაიც ასე საჭიროა ყოველ ხელოვან მსახიობის შემოქმედების შესამსუბუქებლად და სცენიურ ილიუზიის გამოსახატად? მადლობა ღმერთს! დიდი ხანია წავიდა ის დრო, როდესაც დეკორაციის მაგივრად გამოჰკიდებდნენ ხოლმე ფიცარს ზედ წარწერით: „ზღვა", „ტყე", „ციხე-დარბაზი" და სხვა ახლანდელი ტეხნიკის წყალობით-კი ჩვენ ვხედავთ „ზღვას" მის ღელვას, მშვენიერ ტყეს და ციხე-დარბაზსაც. მხოლოდ ყოველივე ამას ჩვენ ვხედავთ იმგვარი ბუნებრივობით, როგორც ხელოვნების ფარგლებს შეუძლიან, მაგრამ თუ იქამდინ წავალთ რომ ნამდვილ ზღვის აღელვებას მოვინდომებთ და წვიმის მოყვანას, აქ ყოველგვარი ტეხნიკა უძლურია და თავის დღეში ნამდვილ ბუნებრივ ილიუზიას ვერ შევქმნით და არც ესაა სცენის დანიშნულება და მისწრაფება. ხელოვნება ყოველთვის ხელოვნებად დარჩება და ცხოვრება-კი—ცხოვრებად.

ხელოვნება და ცხოვრება, ეს სულ სხვა და სხვაა და „შუა უძევს დიდ ზღვარი". სასცენო ხელოვნების ბუნებრიობა თვით მსახიობის შემოქმედებაა, სადაც გესმით ნამდვილი ხმა, ნამდვილი ადამიანის დრტვინვა და კვნესა, რომლისთვის ყოველივე სცენის გარეგნული მოწყობილობა მისი შემოქმედების გამოსაყენი მასალა უნდა იყვეს და არა იგი სცენისა. სცენიური ილიუზია ეს ერთ-გვარი (მსახიობის შემოქმედებასთან ერთად) შთაბეჭდილების სისრულეა.

ამ სამის წლის წინად კრეგმა მოსკოვის სამხატვრო თეატრში დასდგა უ შექსპირის „ჰამლეტი". კრეგის „დადგმა" მარცხით გათავდა და დიდებული ტრაგედია მთლად იმსხვერპლა. მთელი მოსკოვის საზოგადოება ჰკვირობდა: საიდან გამოსძებნა ბ-ნმა კრეგმა ტანისამოსი, რომელ დროში, რომელ ეპოქაში იცვავდნენ ასეთ? არავითარი სტილი, არავითარი სრული ილიუზია. მაგრამ „დადგმას" ვინდა სჩივის, მსახიობებიც თავის ჭკვაზე წაეყვანა. არც ერთი მათგანი თავის როლის ღირსეული შემსრულებელი არა ყოფილა. სხვათა შორის ერთი კრიტიკოსი ჰამლეტის როლის აღმსრულებელზე, ბ-ნ კაჩალოვზე ასე სწერდა: „საწყალი, ბ-ნი კაჩალოვი. გვებრალება რომ ჰამლეტის როლი რიგიანად ვერ გადუკითხნია. ნეტავ რას ფიქრობდა მაშინ, როდესაც აჩრდილი იხსენიებდა ჰამლეტის „ხშირსა, ხუჭუჭსა თმასა" და ბ ნ კაჩალოვს კი ერთი რაღაცა უცნაური, გაქონილსავით შეკრეჭილი თმა ამშვენებდა. შესრულების მრით არაფერი თავისი არ ჰქონია. ყოველი ფეხის გადადგმა, მიხვრა-მოხვრა რეჟისორისა იყო და არა მსახიობ კაჩალოვისა."

აი მარტივი სურათი, თუ თანამედროვე რეჟისორს როგორ შესძლებია დაამახინჯოს ავტორი, ტიპი და თვით მსახიობი. ჩვენ კი სულ სხვაგვარად გვწამს რეჟისორის მისსია და მას თავის დღემიაც არ უარვყოფთ.

თქმა არ უნდა ერთ უმთავრესთაგანს როლს თამაშობს პიესის შესრულებაში ყოველი რეჟისორი. მისი მოვალეობაა უპირველესად, რასაც თვითნვე ადმერთებენ, პიესის დადგმა; მან უნდა შექმნას ამა თუ იმ პიესის ერთგვარი სტილი, ყოველი წვრილმანი, მასიური სცენები გაითვალისწინოს, აუღოს პიესას ტემპი, მიმდინარეობა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათელ ჰყოს მისი დინამიკა და უფრო გარეგნულ მოხაზულობაში გამოიჩინოს თავისი ესთეტიური გემოვნება. ვერც იმას ვიტყვით, რომ რეჟისორს არავითარი დამოკიდებულება არ უნდა ჰქონდეს მსახიობთან. არა! რეჟისორის რჩევა, აზრი, მისი შეხედულობა ძალიანაც საჭიროა მსახიობისთვის ხშირად ხდება, რომ თვით უნიჭიერესი და გონიერი მსახიობი სცდება დასახულ პიროვნების შეგნება-გაგებაში, იგი ავტორის მიერ შექმნილ ტიპს შორდება, შეაქვს თავისი ინდივიდუალობა და ჰქმნის სრულიად სხვა სახეებს. შეიძლება მის მიერ შესრულებული როლი მხატვრული იყოს, მაგრამ იმავე დროს კი აკლდეს სისრულე და ავტორის იდეის თვალ საზრისით სინამდვილეს დაშორებული. აი, სწორედ ამ დროს არის საჭირო რეჟისორის დახმარება, რადგან თავისი აზრით, რჩევით მას შეუძლიან მსახიობს ბევრი ნაკლი ააშოროს თავიდან. მაგრამ თუ რეჟისორი ისე შეჰბოჭავს მსახიობს, რომ პარიკიდან დაწყებული, ვიდრე ტანსაცმელამდის მისი ურჩევით და ბრძანებით იქნება შესრულებული მაშინ მსახიობი ნამდვილ ხელოვანის მაგიერად ნამდვილი ხელოსანი ხდება!

— უფრო მსახიობს უნდა წინადვე ჰქონდეს აღნუსხული თავისი როლი, გათვალისწინებული აღებული პიროვნება, მისი სულის [illegible]თება და ვითარება, რათა მხატვრულ ფარგლებში იქმნეს ჩამოყალიბებული მისი განსახიერებელი ტიპი. და ეს სრულიადაც არ შებოჭავს მსახიობის შემოქმედებას, პირიქით, იგი უფრო ძლიერი იქნება და ძლიერ ცეცხლის წუთების შექმნაც შეეძლება, ვინაიდან მხოლოდ მაშინ შეუძლიან მსახიობს ტანჯვით შვას თავის შემოქმედება ჩაინთქას მის ფსიხურ განცდაში და თავის ტემპერამენტის ვნებათა ღელვაში, როდესაც მას წინად ექნება შესისხორცებული მთლად ავტორის მიერ დასურათებული ტიპი. უკეთუ ეს ასე არა ხდება, როგორიც გინდა ციური ნაპერწკლები მოხვდეს მსახიობს, მისი შემოქმედება მაინც მხატვრულ კონცენტრაციას მოკლებული იქნება.

თანამედროვე მსახიობი კი მეტად შებორკილი ჰყავს თანამედროვე რეჟისორს. მსახიობი, თუ მარტო რეჟისორის უნარს, მის პრინციპებს ემყარება და თავისი არაფერი არა აქვს, იგი ვერაფერს შეჰქმნის სხვისი საკუთრებიდან, მისი შემოქმედება ლიტერატურული კომპილაცია იქნება. მსახიობის შემოქმედება თავისუფალია ისე, როგორც უფრო ჭეშმარიტ ხელოვანისა. ჩვენ ვიტყვით უფრო მეტს: მისი შემოქმედება უფრო ძლიერია, ვიდრე თვით პოეტისა. რადგან პოეტი თქვენ აგაშფოთებთ ცივ ეტრატზე, მოიყვანს აღტაცებაში თქვენს გრძნობა-გონებას, მაშინ როდესაც მსახიობი სრულიად გაშორებთ ფანტასტიურ გადატყორცნილ აღმაფრენას და წინ გიყენებთ ბუნების ნამდვილ ნაკვთს, ცოცხალ სურათს!! არც ერთ ხელოვანს არ შეუძლიან დასჭიმოს ადამიანის ნერვები, როგორც მსახიობს! არც ერთი ხელოვანი არ მოგიყვანთ, ისეთ თავდავიწყებით ექსტაზში, როგორც მსახიობი! არც ერთი ხელოვანი არ შეაშფოთებს თქვენს სულსა და გულს ისე, როგორც მსახიობი! და ისიც იქონიეთ მხედველობაში, რომ არც ერთის ხელოვანის შემოქმედება ისე არ არის ძნელი, როგორც მსახიობის, რადგან როგორც სახნოვსკი ამბობს: „იგი სულ სხვა უცნობ ინსტრუმენტზე უკრავს და მისი ასამეტყველებელი სიმები არის მისი გული და სული“.

ასეთია მაღალი და ტანჯვაში ნაზარები ნამდვილი მსახიობის შემოქმედება და თუ მას შეეხო სხვისი მოუხეშავი და ტლანქი ხელი, როგორც მშვენიერ ქანდაკებას, დაიმსხვრევა სრულიად და გაჰქრება მისი სილამაზე და სიმშვენიერე! მაშ, გზა! თავისუფალი და ფართო გზა მიეცით უფრო ჭეშმარიტ ხელოვან მსახიობს, ყველამ — თქვენ წმინდა ხელოვნების პატივის მცემელნო!...

გ. გარრიკი

# ჩინებული აღმზრდელი

## ისიდორე მირიანის ძე გიგინეიშვილი

ორი კვირაა მას შემდეგ, რაც სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა ფრიად ნიჭიერი ადამიანი, ისიდორე გიგინეიშვილი.

იგი ეკუთვნოდა იმ მცირე რჩეულთა რიცხვს, რომელთაც ხატად დაუსახავთ სამშობლო და მიზნად მისი სამსახური. თუმცა ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, მაგრამ თავის ხანმოკლე სიცოცხლეში ბევრი რამ გააკეთა. იგი არ იყო მყვირალა „მამულიშვილი“, რომელსაც სიტყვა „სამშობლო“ მუდამ ენაზე აკერია და საქმით-კი სხვას ამტკიცებს.

დინჯი, ენერგიული, შეუდრეკელი და ნაყოფიერი მუშაობა ამისი სამშობლოს საკეთილდღეოდ უოველთვის მისაბაძ მაგალითად დარჩება.

იგი დაიბადა გურიაში — სოფ. ჭყრუვეთში, პირველდაწყებითი სწავლა თავისს სამშობლო სოფელში მიიღო, შემდეგ ბათომის გიმნაზიაში შევიდა, რომელიც პირველ მოწაფედ დაასრულა. გიმნაზიაში ყოფნის დროს იგი მარტო საგნეის სწავლით არ კმაყოფილდებოდა.

გიმნაზიის დასრულების შემდეგ, ისიდორე პეტროგ ადის უნივერსიტეტში შევიდა ფილოლოგიურ ნაწილზე და ჩინებულადაც დაამთავრა.

სტუდენტობის დროს იგი ხარბათ დაეწაფა დასავლეთ ევროპის ლიტერატურას, რაიცა საფუძვლიანად შეისწავლა.

იგი ცნობილი იყო თავისს ამხანაგებში, როგორც საუკეთესო მცოდნე და ყველა პატივისცემით იზიარებდა მის აზრს. მას, როგორც ფრიად ნიჭიერს, იცნობდა ზოგიერთი პროფესორიც და ბევრი ანგარიშს უწევდა.

გვახსოვს და არას დროს არ დაგვავიწყდება განსვენებულის შინაარსიანი ლექციები ხონის კურსებზე. იგი ჩინებული ორატორიც იყო და კარგ შინაარსთან ერთად კარგი ენით უმასპინძლდებოდა მსმენელთ.

როგორც ზევით ვსთქვით, განსვენებულს ძლიერ უყვარდა სამშობლო, რის სიყვარულსაც ქადაგებდა ხალხში და მოსწავლე თაობასაც უნერგავდა. თავისს მასწავლებლობის დროს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, ბევრი ახალგაზ და აღუზრდია ამ რიგათ და მტკიცე ნიადაგზე დაუყენებია. უყვარდა თავისი მეგობრები და ესენიც ერთგულ მამასავით შესცქეროდენ მას.

განსვენებული მწერლობაში მონაწილეობდა. გრძელმლისა და იმერელის ფსევდონიმებით; აგრეთვე საკუთარ სახელ გვარის მოწერით „კოლხიდა“სა და „იმერეთი“-ში პედაგოგიურ შინაარსის წერილებს ათავსებდა.

იგი სახალხო მოღვაწეობითაც ცნობილი იყო და გლეხკაცობა დიდს პატივს სცემდა, მაგ მას ძლიერ აღონებდა თვისი სოფლის გლეხების მიწის სივიწროვე და მუდამ ჰქადაგებდა დიდ მესაკუთრეთ მიწების დანაწილების აზრს.

განისვენე, დაუღალავო და ჯულწრფელო მამულიშვილო ისიდორე! შენი საყვარელი სამშობლოს მიწა მშობლიური სიყვარულით მიგისვენებს გულზე, შენი აქტიური ცხოვრება — მუდამ მისაბაძ მაგალითად დარჩება შენს ნაცნობთ შორის.

**ლავრენტი იმერელი**



## შალვა დადიანისა და ელო ანდრონიკაშვილის გასტროლები დ ხაშურში.

ხაშურის ქართული თეატრის საზამთრო სეზონი ჩვენმა ნიჭიერმა მსახიობმა ბ. შალვა დადიანმა დაიწყო და რამდენიმე დღის განმავლობაში ორი შინაარსიანი წარმოდგენა მიუძღვნა საზოგადოებას: მარიამობისთვის 30 დასდგა ბრანდესის 2 მოქ. დრ. „სტუმარი“, რომელშიც უმთავრეს როლებს ქ. ელო ანდრონიკაშვილი და თვით დადიანი ასრულებდნენ. ენკენისთვის 3 დასდგა 3 მოქ. პიესა „შენი ჭირიმე“, ანუ „კადმის ნაყმშაკარი“, რომლის ავტორიც თვითონ შ. დადიანი ბრძანდება. ეს ორი პიესა თვით დადიანის რეჟისორობით დაიდგა, რომლებიც ჩინებულად იყო განაწილებული ადგილობრივ სცენის მოყვარეთა შორის და როგორც კი შესაძლო და მოსახერხებელია ხაშურის პატარა სცენაზე, პიესების მხატვრული მხარეც დაცული იყო. ხაშურის სცენას ნიჭიერი სცენის მოყვარენი ჰყავს და როდესაც მათ ისეთი გამოცდილი რეჟისორი ხელმძღვანელობს, როგორიც არის შ. დადიანი, აი ხაშურის სათეატრო ხელოვნების მოყვარული საზოგადოებაც მაშინ სტკბება ხოლმე სულიერად. შალვა დადიანის მიერ გამართულმა ამ ორმა წარმოდგენამ, მართლაც რომ სულიერი და ესთეტიური კმაყოფილება აგრძნობინა ადგილობრივ აუდიტორიას და ნიჭიერი რეჟისორი ხანგრძლივის ტაშით დააჯილდოვეს. ორთავე წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო და კმაყოფილიც დარჩა. ბ. დადიანი კიდევ გამართავს რამდენიმე წარმოდგენას ხაშურში და შემდეგ-კი, როგორც გავიგეთ, ბაქოს ანუ თბილისს გადავა.

ქ. ელო ანდრონიკაშვილი და ბ. შალვა დადიანი ნიჭიერი მსახიობნი არიან, ქართული თეატრის ერთგულესი შვილნი, ხელოვნების თავდადებული მუშაკნი, ენერგიით აღჭურვილი ქურუმნი და ეგი საქმითაც დაგვიმტკიცეს: მთელი ზაფხულის განმავლობაში დაბა სურამში სცხოვრობენ ვითომ დასასვენებლად, მაგრამ დასვენების

მაგიერ შრომა არ შეუწყვეტიათ და ჩვენს პროვინციის წარმოდგენებით უმასპინძლდებოდენ. სწორედ რომ პატივისცემის ღირსია თავდადებული და თავის მოვალეობის საფეხურზე მდგომი მუშაკი და ეს პატივისცემა კიდეც დაამტკიცა სურამ-ხაშურის საზოგადოებამ: ყველა, მალვა დადიანის მიერ დადგმულს, წარმოდგენას ხალხი ბლომად ესწრებოდა. რაცა-კი უნდა ესტუმროს მეირფასი მსახიობ მწერალი პროვინციას, ყოველთვის სიხარულით მიიღებენ მას. ჭეშმარიტად, მასაც ხელოვნება და პროვინცია წმიდის გულით უყვარს, პროვინციასაც უყვარს იგი თავისის პროვინციალურის სიყვარულით. **ნიკო გურული.**

**დ. სამტრედიის** თეატრში დიდხანი არ არის, რაც შინაარსიანი პიესები იდგმეოდა, ხალხიც ბლომად ესწრებოდა. ბოლოს კი ბოროტ ადამიანთა მოწყალეობით ეს საქმე შეფერხდა, ხალხი აღარ ეტანებოდა. მხოლოდ სანდრო კავსაძის მიერ გამართულმა კონცერტ-წარმოდგენამ მიიზიდა დიდძალი ხალხი. გაიმართა ლექციები, რომელსაც შედარებით ნაკლები ხალხი დაესწრო, განსაკუთრებით გ. დ. მჟავანაძის ლექციას—„ხელოვნება და თეატრი“. სასურველი-კი იყო, ფართო მასა დასწრებოდა. ენკენისთვის 2 წარმოდგენილ იქმნა პ ირეთელის „დამარცხებულნი“. პიესა ცოცხლად, მოხდენილად და უნაკლულოდ ჩაატარეს: სცენის მოყვარეებს ეტყობოდათ მომზადება, რომელშიც რეჟისორ დ. კობახიძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდენ თავ-თავიანთი როლებში ქ-ნნი კობახიძისა (ქალიშვილი) და ურუშაძისა (ქალბატონი), შ. დოლიძე (მოსამსახურე) და კ. კრავეიშვილი (მოწინავე მუშა). წარმოდგენას ბევრი ხალხი დაესწრო. ვუსურვებთ აქაურ სცენის მოყვარეებს, ასეთი შინაარსიანი პიესებით შემდეგშიც გამასპინძლდებოდენ საზოგადოებას

**პ. ლეხელი**

# წვრილი ამბები

**ვალ. გუნია** ბათომში 4 ენკენ. წარმოდგენის შემდეგ, დაავადმყოფებული ლოგინში წევს. მკურნალობს შ. მიქელაძე. ავადმყოფი წევს თავის ბინაზე (ვერის ხევში, ვერის დაღმართი № 3).

**ხილნალის დრამ. წრე.** საზამთრო სეზონს ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მონაწილეობით ღვინობისთვის პირველებში დაიწყებს.

**მსახიობი ვ. არაბიძე,** როგორც ისმის, ბაქოს სამხ. სალიტ. წრეს მიუწვევია რეჟისორად.

**ერობის** შესახებ სახალხო სახლში კავ სამეურ. საზ-ის თაოსნობით კრება შესდგა ენკენისთვის 14 სახ სათათბიროს წევრის ვ. ა რუევსკის მონაწილეობით. დეპ. რუევსკიმ კრებას მოახსენა, სათათბიროს განზრახვა აქვს 90 წ. ერობის დებულებანი შესცვალოს და ახალი შემოიღოს; ამიტომ შეუფერებლად მიმაჩნია მხარი დავუჭირო 90 წ. დებულებასო. ბ-ნ რუევსკის საპასუხოდ მრავალ-მხრივ დასაბუთებული სიტყვები წარმოსთქვეს მ. ვ მაჩაბელმა, კიტა აბაშიძემ, ვ. დემიდოვმა, დ. გურამიშვილმა. დ. ე. ჩოლაყაშვილმა, სპ. კედიამ და სხ. განსაკუთრებით საუცხოვო იყო სიტყვა კიტა აბაშიძისა და მ. ვ. მაჩაბლისა, რომელნიც დამსწრეთ ხანგრძლივის ტაშით დააჯილდოვეს. მოპასუხე-მოლაპარაკენი ხელერთპირად იძახდენ, სულ არარაობას გვიჯობს მოგვცეთ 90 წ. დებულების ერობა ხოლო როცა რუსეთში ახალ ერობას შემოიღებენ, მაში იგი ჩვენშიაც გაავრცელეთო: თუ ჩვენი სიკეთე გინდათ და ერობის შემოღება მართლა გწადიათ, ასე მოიქცევითო,—აგრეთვე ილაპარაკეს ა. ი. ხატისოვმა და ბ. შახათუნმა, თათართა მხრით—ს. სულთანოვმა. უფრო ვრცლად შემდეგ

თაემჯდომარე, საერობო ბიუროს მდივნად მიიწვიეს.

**გ. თ. ჟორდანია,** ქართ კულტ-მოყვ-საზ-ის

**ტუაგნოვის** დასი საარტისტო საზ-ის თეატრში წარმოდგენების მართვას შეუდგა ენკენისთვის 10.

**მოლფ-იზრაელმა,** სკრიპკაზე დამკვრელმა ხელოვანმა და სიმფონიურ ორკესტრების ერთმა ლოტბართაგანმა ახალ კლუბში, თბილისელ საზოგადოების ყურადღება—პატივისცემა დაიმსახურა. უაღრეს დ განვითარებული, მტკიცე, დაკვირვებული და ნიჭიერი მუსიკოსი თითქმის ერთნაირის ღირსებითაა შემკული: როგორც სკრიპკაზე დამკვრის დიდი ოსტატი, აგრეთვე როგორც ლოტბარი—მემუსიკეთა გუნდის მმართველი. ბენეფისზე საზოგადოებამ ვარდ-ყვავილებით დაჯილდოვა, ახლმა კლუბმა საზამთრო სეზონისთვის მიიწვია, ხოლო ქართ. ფილ. საზ. სამუსიკო სკოლაში, როგორც აღნიშნული გვქონდა, ვიოლონის მასწავლებლად მიიწვია.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო! ამასთან ვადგენ 5 მ 15 კ. შეკრებილს სოფელს ხაშმში, ავსტრიაში ტყვედ მყოფ ჩვენ თანამემამულეთა გაჭირვებულ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. გთხოვთ ფული გადასცეთ კუთვნილებისამებრ და ქვემოთ მოყვანილი სია შემომწირველთა მოათავსოთ თქვენს პატივცემულ ჟურნალში. შემოსწირეს: ათ-ათი შაური: მღ. ხაბაზიშვილმა, ი. ყურკაციშვილმა, მ. ნახუცაროვისამ; ვ. სუხიტაშვილმა,—30 კ, ა. ქოქრაშვილმა—25 კ; თითო აბაზი: გ. მესხიშვილმა, გ. ჯარიაშვილმა, ის კეჟერაშვილმა. თ. ჩოლინჯრიშვილმა, დ. ქიაბრიშვილმა, ს. შავკაციშვილმა, მ. მამისთვალოვმა, ი. თევდორაშვილმა, მ. ყურკაციშვილმა, მ. ტერდავიდოვმა. ა ხუროშვილმა ი. ქიაბრიშვილმა ი. ქიაბრიშვილმა, ს. შავკაციშვილმა ვ. ციცქურიშვილმა; და ი. მაღალდაძემ—10 კ. სულ 5 მ. 15 კ.

პატივისცემით **ი. ბაქრაძე**

---

ბ, რედაქტორო! გიგზავნით ოც მანეთს ხაშმის საკრედიტო ამხანაგობის მიერ გადადებულს 1916 წლის მოგებიდან ქართველ გაჭირებულ აქტიორების სასარგებლოდ. უმორჩილესად გთხოვთ ხსენებული ფული გადასცეთ, სადაც ეკუთვნოდეს.

ხაშმის საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარე **ესტატე ლოლაძე.**

## გლეხთა წერილები

ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“-ში (№ 33) ბ-ნი გიორგი მერაბაშვილი მიწერს, ვითომც მე: ა) გადამეთხაროს თამარ დედოფლის-მიერ გაკეთებული ნიადაგი რუსხმული და მით უწყლოდ დამეტოვებინოს 27 დესეტინა სასოფლო მამული; ბ) წისქვილის რუვში ჩამეყარნოს ნერგებიწისქვილის საზიანოდ და გ) მომეშალნოს სასოფლო რუ, —ერთი სიტყვით მთელი სოფლის დაღუპვა მდომებოდეს. რადგან ეს ბრალდება მართალი არ არის და საქმე სხვანაირადაა, ამიტომ სიმართლის გამოსარკვევად, ბ. გიორგი მერაბაშვილს ვიწვევ სამედიატორო სამართალში. მტყუანმა მხარემ ერთი თუმანი გადიხადოს ჟურნალის სასრგებლოდ. ჩემი მედიატორენი: იოსებ ბერბიჭაშვილი და ანტონ ტორიკაშვილი. ხუთ დღეს ვადას ვაძლევ ჟურნალში გამოცხადებიდან და თუ სამართალში არ გამომყვება, უფლებას ვიტოვებ შესაფერი სახელი ვუწოდო. მედიატორეთა განაჩენი ამავე ჟურნალში უნდა დაიბეჭდოს.

გლეხი **ესტატე ქეშელაშვილი**

## სასცენო სტუდია

ს. ნ. ვორონოვის ხელმძღვანელობით.

მეცადინეობა ქართულ და რუსულ ენებზე. 1, დიქცია და დეკლამაცია; 2, პლასტიკა და გიმნასტიკა; 3, თეატრის ისტორია, 4 ესთეტიკა; 5, პრაქტიკული მეცადინეობა სცენაზე.

ცნობათა შეტყობა შეიძლება ოთხშაბათობით და კვირაობით საღ. 6—7 ს. კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში. ტელ. 8—43.

## საზოგადოების საყურადღებოდ

**„ჩვენი გემოს“ კვასის ქარხანის** გამგეობა აცხადებს მომხმარებელთა საყურადღებოდ, რომ „ჩვენი გემოს“ ამ ბოლო დროს ბევრი ყალბი მიმბაძველი გამოუჩნდა სარგებლობენ რა ჩვენი ფირმის დამსახურებული ნდობით, ამგზავსებენ თავიანთ ეტიკეტს ჩვენს ეტიკეტს და მით ჰსურთ მომხმარებლები შეცდომაში შეიყვანონ. განსაკუთრებით ყურ დღება მისაქცევია ახალი ფირმა „ჩვენი ეს არის“, რომლის ეტიკეტი მეტად მოხერხებულად წააგავს ჩვენსას, მათ ხელს უწყობენ ზოგიერთი გამყიდველები, რომლებიც კაპეიკებით დაინტერესებული „ჩვენი გემოს“ მაგიერ მუშტრებს „ჩვენი ეს არის“ აწვდიან. გთხოვთ გაუფრთხილდეთ სიყალბეს და მოითხოვოთ ნამდვილი „ჩვენი გემო“.

## სამუსიკო სკოლა

ტფ. ქარფილარ.

**საზ. მოწაფეთა მიღება დაიწყო 26 აგვ.** 10—2 ს.-მდე დღისით და 5—7 ს.-მდე საღამოთი სკოლის კანტორაში. სლეპცოვის ქუჩა, ზელინცკის № 4. მასწავლებელთა სია: ფორტეპიანოს კლასი: ე. დ. აბელოვისა, მ. გ. ანდრონიკოვ-ციციანოვისა, ნ. ვ. კალაშნიკოვისა, ე. გ. ქიქოძე, ე. ი. მადატოვა-პოლტარაცკისა, ე. ვ. ფოგელისა, ვიოლონი: მ. ტ. ვასილევი, პ. ა. ტიზენგაუზი, ვიოლონჩელი: გ. კაპელნიცკი-კონტრაბასი: ბ. პ. ...სკი, სიმღერა: მ. ა. კოლოტოვისა, თეორიის კლასები: ზ. პ. ფალიაშვილი; ხორო: ზ. ი. ...ივაძე; ახლად მოწვეულნი არიან ვიოლონისა: საიმპერატორო თეატრის სოლისტი მ. ა. ვოლფ-იზრაილი და ფორტეპიანოს მასწავლებელი პეტროგრადის კონსერვატორია დამთავრებული პროფეს. მედემის კლასი და თავისუფალი ხელოვანი ვ. ვ. ალენიკოვისა.

## ახალი კლუბი

1 კვირის პროგრ. 18—52 ენკ.

**ორშაბათი** — რუსული ოპერეტა

**სამშაბათი** — სიმფონიური კონც.

**ოთხშაბ.** სინემატოგრაფი.

**ხუთშაბ.** — ქართ. წარმ. (უფას); საზ..ნდარი

**პარასკ.** — სინემატოგრაფი; მუსიკა.

**შაბ.** — სიმფონიური კონ.

**კვირა** — მუსიკა; სინემატ.

**დასაწყისი:** კონცერტებისა საღამ. 9 საათ.. წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. $8^1/_2$ სა

**შესასვლელი** ფასი ჩვეულებრივია, მხოლოდ სამშაბათს და შაბათს იხდიან: მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმ.) 65 კ. მამაკაცები 1 05 კ.

## ხაროშხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი, № 131)

**ერთი კვირის პროგრამა 18—ენკ.—25 ენკ**

**კვირა** — რუსული წარმოდგენა კაბარე

**ორშაბათი** — სომხურად ან ეს ან ის

**სამშაბათი** — სინემატოგ. სიმებ. ორკ.

**ოთხშაბათი** — ქართული წარმოდგენა; ბალში სამხედრო— მუსიკა

**ხუთშაბათი** — კონცერტი.

**პარასკევი** — სინემატოგრაფი, სიმებ. ორკეს.

**შაბათი** — ქართული წარმოდგენა.

**კვირა** — რუსული ოპერეტა.

**წარმოდგენა-კონცერტებზე შესვლა უფასოა**




რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

Дозволено Военной Цензурой სტამბა „სორაპანი“